



GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

რუსული პროკაბანდა – მიზნები,
ნარატივები და აქტორები

ბრიგოლ ჯულუსიძე

104

ექსპერტის აზრი





საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

ბრიგოლ ჯულუხიძე

**რუსული პროვოკაცია – მიზნები,
ნარატივები და აქტორები**

104

2018



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2018 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-8-0371-0

აბსტრაქტი

თანამედროვე რუსული პროპაგანდა დღითიდღე უფრო აქტუალური და რთულად გასანეიტრალებელი ფენომენი ხდება. კრემლის დეზინფორმაციული ციკლი არა მხოლოდ რომელიმე კონკრეტული გეოგრაფიული სივრცის ან რეგიონული ალიანსის, არამედ, ზოგადად, დემოკრატიული რეჟიმების წინააღმდეგ მიმართული გამონვევაა.

ამ მოსაზრებას არაერთი რეზოლუცია თუ ანგარიში ამყარებს. რუსული პროპაგანდის სიმწვავეზე უკვე ხმამაღლა ლაპარაკობენ როგორც აკადემიურ და კვლევით, ისე პოლიტიკურ წრეებშიც.

ამერიკის შეერთებული შტატების ნაციონალური დაზვერვის დირექტორის ოფისის 2017 წლის ანგარიშის თანახმად, კიბერთავდასხმების, ცრუ ინფორმაციისა და არალეგალური დაფინანსების მეშვეობით რუსეთი მუდმივად ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, ჰოლანდიის, ესპანეთისა და ავსტრიის პოლიტიკურ პროცესებზე (Office of the Director of National Intelligence, 2017). 2016 წელს რუსულ პროპაგანდას სპეციალური რეზოლუცია მიუძღვნა ევროპარლამენტმა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ კრემლის მიზანს ევროკავშირის ერთიანობის რღვევა და სტრატეგიულ პარტნიორებთან (აშშ, კანადა) ურთიერთობების გაფუჭება წარმოადგენს (EU Parliament Report, 2016). გარდა ამისა, რუსეთის ფედერალური სამსახურების პირდაპირ ზეწოლაზე ილაპარაკა გერმანიის უსაფრთხოების ბიუროს უფროსმა ჰანს-გეორგ მაასენმაც (Eddy, 2016). ჩეხეთის უსაფრთხოების სამსახურის 2015 წლის მოხსენების თანახმად, რუსეთის ფედერაციის ამოცანა ჩეხურ საზოგადოებაში პოლიტიკური ნიჰილიზმის გაზრდა და დემოკრატიული პრინციპების დისკრედიტაციაა (Bezpečnostní Informační Služba, 2015).

ერთი სიტყვით, კრემლის პროპაგანდა საყოველთაო გამონვევაა, რომლის იდენტიფიცირება ძალიან რთულია. ამის უმთავრესი მიზეზია საკითხის შესახებ დაბალი საზოგადოებრივი ცნობიერება და ეფექტიანი კვლევისათვის ბაზის არარსებობა (რასაც თავისი ობიექტური მიზეზებიც აქვს, რადგან მსგავსი სახის პროპაგანდა 2014 წლიდან ჩნდება საერთაშორისო ურთიერთობებში). თუკი დასავლური სახელმწიფოების შემთხვევაში ძალიან სწრაფი და დინამიკური ტემპებით მიმდინარეობს პროპაგანდის, როგორც კვლევითი დისკომინის ათვისება, საქართველოში ამ მხრივ აკადემიურ-კვლევით სფეროში სერიოზული სიცარიელეა.

ჩვენი პუბლიკაციის მიზანი სწორედ თანამედროვე რუსული პროპაგანდის ხელნერის, აქტორებისა და ზოგადი ნარატივის აღწერაა.

რუსული პროპაგანდის მიზნები

რუსულ პროპაგანდაზე საუბრისას, უპირველეს ყოვლისა, ორი უმნიშვნელოვანესი ფაქტი უნდა გამოვყოთ:

1. ვლადიმირ პუტინის მიერ გამოქვეყნებული პროგრამა, სახელწოდებით „რუსეთი და ცვალებადი სამყარო“;
2. რუსეთის გენერალური შტაბის ხელმძღვანელ ვალერი გერასიმოვის ახალი სამხედრო დოქტრინა.

პუტინი თავის სტატიაში „რუსეთი და ცვალებადი სამყარო“ ლაპარაკობს რუსულ „რბილ ძალაზე“ და ამას არაფერი აქვს საერთო იოზეფ ნაის კლასიკურ დეფინიციასთან. ამერიკელი მეცნიერი „რბილ ძალას“ სტრატეგიული მიზნების მიღწევის მექანიზმად განიხილავდა, მიმზიდველობისა და წარმატებული მოდელის შექმნის გზით (Nye, 2004). პუტინთან „რბილ ძალას“ აბსოლუტურად სხვა განმარტება აქვს: „საგარეო-პოლიტიკური მიზნების მიღწევის მექანიზმი, ძალის გამოყენების, ინტერვენციისა და აგრესიული კამპანიის გარეშე“ (Путин, 2012). ამავე წერილში რუსეთის პრეზიდენტი საზღვარგარეთ მცხოვრებ რუს თანამემამულეებთან დაახლოების აუცილებლობის სტრატეგიულ მნიშვნელობაზეც ამახვილებს ყურადღებას. გარდა ამისა, პუტინი სხვადასხვა გლობალურ გამოწვევას განიხილავს და აღნიშნავს, რომ: „თანამედროვე მსოფლიო წესრიგი და სტაბილურობა წარმოუდგენელია ძლიერი რუსეთის გარეშე“. იგი არასტაბილურობის მთავარ კომპონენტებსაც გამოყოფს, რომელთაგან ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციებია. მისი თქმით, ცალკეული არასამთავრობო ორგანიზაციები სეპარატიზმისა და ექსტრემიზმის წყაროება, რომელთაც ქვეყნებისთვის მხოლოდ და მხოლოდ დესტაბილიზაცია მოაქვთ („არაბული გაზაფხულის“ მაგალითზე).

„რბილი ძალის“ თემა რუსეთის საგარეო საქმეთა უწყებაშიც აქტუალურია. ამაზე სერგეი ლავროვის 2008 წლის განცხადებაც მეტყველებს. მან თქვა, რომ ეს მექანიზმი საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეების რეინტეგრაციისა და რუსული გავლენის ექსპორტის საუკეთესო საშუალებაა (Vojtišková and Novotný, 2016, 21). შედეგად, თითქმის ყველა რუსული საერთაშორისო ფონ-

დი თუ კვლევითი ორგანიზაცია საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო კონკურსების ბენეფიციარია.

მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტი გენერალ გერასიმოვის განცხადება იყო, რომელმაც დაუფარავად აღნიშნა, რომ 21-ე საუკუნეში პოლიტიკური მიზნების მიღწევა არასამხედრო, ინფორმაციული გზითაა შესაძლებელი (Meister, 2016, 3). ეს ინიციატივა რუსული „ჰიბრიდული“ ომის უმნიშვნელოვანესი ნაწილი გახდა. გერასიმოვის თქმით, თანამედროვე რუსეთს იმავე იარაღით შეუძლია გაანეიტრალოს დასავლეთიდან მომავალი საფრთხეები, რითაც თავად ევროპელები და ამერიკელები ცვლიდნენ პოლიტიკურ სისტემებს საქართველოში, უკრაინასა და ჩრდილოეთ აფრიკაში (Galeotti, 2014).

„გერასიმოვის დოქტრინა“ ერთგვარი გაგრძელებაა რუსული პროპაგანდის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგიის – იგორ პანარინის მოსაზრებებისა. მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი თავის ნარკვევში „მეორე მსოფლიო ინფორმაციული ომი“ ყურადღებას ინფორმაციული ტექნოლოგიების ეფექტურ გამოყენებაზე ამახვილებს და საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ ჩამოყალიბებული მსოფლიო წესრიგის ცვლილებას მიმდინარე ასწლეულის 20-იანი წლებისათვის ვარაუდობს. პანარინის თქმით, პირველი მსოფლიო ინფორმაციული ომი 1943-1991 წლებში მიმდინარეობდა და ეს ისტორიული ციკლი საბჭოთა კავშირის მარცხითა და დიდი ბრიტანეთის ტრიუმფით დასრულდა. იგი მიიჩნევს, რომ „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ დასავლეთში ბევრი არაფერი შეცვლილა, ხოლო მეორე მსოფლიო ინფორმაციული ომის ამოცანას წარმოადგენს პუტინის მოშორება და რუსეთის 25 წაწილად დაშლა. (Панарин, 2012).

„მეორე მსოფლიო ინფორმაციულ ომში“ პანარინი ისეთი ელემენტების გათვალისწინების აუცილებლობაზე საუბრობს, როგორიცაა: საზოგადოებრივი სტერეოტიპების შექმნა, ხალხით მანევრირება, ინფორმაციით მანიპულაცია და დეზინფორმაცია (Darczewska, 2014, 15). მაგრამ კრემლის მთავარი იდეოლოგი არის რუსი მეცნიერი ალექსანდრ დუგინი (Vojtišková and Novotný, 2016), რომელსაც მიაჩნია, რომ ლიბერალური დემოკრატიის პრინციპები და, ზოგადად, ლიბერალიზმი პირდაპირ ეწინააღმდეგება „რუსულ იდეას“ (მსოფლმხედველობას). დუგინი ავითარებს ე.წ. „რუსული სამყაროს“ ცნებას, რომელიც რუსული კულტურის, ენის, ისტორიის, ე.წ. „მართლმადიდებლური მორალისა“ და პოლიტიკური ინტერესების ნაზავია. იგი ამ პოლიტიკური ხედვის რეალიზაციის პერსპექტივას ევრაზიულ სივრცეში ხედავს (კაიროდან პეკინამდე

გადაჭიმულ გეოპოლიტიკურ არეალში). დუგინისეული პოსტლიბერალური და ნეოკონსერვატიული ევრაზიული კავშირის კონსოლიდაცია ანტიამერიკანიზმის იდეის ირგვლივ მოხდება და ისეთი „დასავლური ტენდენციებისგან“ იქნება იზოლირებული, როგორცაა: ლგბტ ქორწინება, ტერორიზმი, მასობრივი მიგრაცია და ა.შ. გარდა ამისა, დუგინი თავის წიგნში „მეთხე პოლიტიკური თეორია“ ფაშიზმს, კომუნიზმსა და ლიბერალიზმს აკრიტიკებს, როგორც „ვადაგასულ“ და ოჯახურ-რელიგიური ღირებულებებისათვის საშიშ იდეოლოგიებს (Дугин, 2009).

დუგინის პოლიტიკური ხედვა დიდი პოპულარობით სარგებლობს როგორც კრემლში, ისე რუსულ ეკლესიაში (Judah, 2013). მოსკოვის საპატრიარქოს მიხედვით, პუტინი ღვთისგან მირონცხებული მმართველია, რომელიც ღმერთმა მოუვლინა სამყაროს. ამ მოსაზრებას არაერთი სასულიერო პირი იზიარებს, მათ შორის, მამა დიმიტრი ცორონოვი, მღვდელი, რომელიც პუტინის ქმედებებს იმით ამართლებს, რომ იგი ღვთის ნებით მოქმედებს (Samadashvili, 2015).

ზოგადად, რელიგიური ინდოქტრინაციის თემა ძალიან მნიშვნელოვანია რუსეთში. 2004 წელს დუმის დეპუტატმა კონსტანტინ კოსაჩოვმა განაცხადა: „რუსეთს არ შეუძლია პოსტსაბჭოთა სივრცეში საკუთარი აქტიური პოლიტიკა დასაბუთოს მაშინ, როდესაც დასავლეთი ამას დემოკრატიის „ბანერი“ აკეთებს. ჩვენი ქმედებები კი ისე ფასდება, როგორც მხოლოდ რუსეთის ვიწრო ინტერესებზე ორიენტირებული. ეს პატრიოტულია, თუმცა არაკონკურენტუნარიანი“ (Косачев, 2004). 2004 წლის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა რუსეთში და, შესაბამისად, კრემლმაც თავის „ბანერზე“ დაიწყო მუშაობა, რომლის მეშვეობითაც საზღვარგარეთ საკუთარ ინტერესებს „ასაბუთებს“. ახალ იდეოლოგიურ მიდგომაში ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი მართლმადიდებლობაა. ხშირია შემთხვევები, როდესაც რუსეთის საპატრიარქო რელიგიური საკითხების ინსტრუმენტალიზაციით პოლიტიკური დივიდენდების მიღებას ცდილობს.

კრემლი რელიგიური ერთობით მანიპულირებას სხვადასხვა მართლმადიდებელ სახელმწიფოში ცდილობს (რუმინეთი, ბულგარეთი, სერბეთი, საბერძნეთი). „მართლმადიდებელ ხალხთა ერთობის საერთაშორისო ფონდის“ (Международный Фонд Единства Православных Народов) მეშვეობით რუსეთი სხვადასხვა ფორუმსა და კონფერენციას აფინანსებს, რომელთა მიზანიც მართლმადიდებელ

სახელმწიფოთა გაერთიანება და დასავლური სამყაროს კრიტიკა (როგორც მართლმადიდებელი ეკლესიისადმი ანტიგონისტურად განწყობილი საზოგადოების).

რუსეთს სხვადასხვა ქვეყნის მიმართ სხვადასხვა მიდგომა აქვს. საფრანგეთში ანტიამერიკანიზმისა და ანტისემიტიზმის გაღვივება მიზანი. იტალიაში ბიზნესთანამშრომლობაზე კეთდება აქცენტი. მაგალითად, ნაციონალური ენერგოკომპანია ENI „გაზ-პორიმისგან“ ყიდულობს ბუნებრივ აირს და შიგადაშიგ „კრემლის“ მხარდამჭერ კონფერენციებს აფინანსებს. სლავურ სახელმწიფოებში (ჩეხეთი, სლოვაკეთი, პოლონეთი) რუსული პროპაგანდის საყრდენი პანსლავიზმია. ბალტიისპირეთში მთავარი იარაღი რუსულენოვანი მოსახლეობაა, ხოლო ავსტრიასა და შვეიცარიაში – ადგილობრივი საზოგადოებების ნეიტრალური პოზიციები (Vojtišková and Novotný, 2016, 25-26).

„გერასიმოვის დოქტრინის“ მიხედვით შეიძლება რუსული პროპაგანდის ძირითადი მიზნების გამოკვეთა:

- თავდაცვითი – „ფერადი რევოლუციების“/„არაბული გაზაფხულის“ თავიდან აცილება და ადგილობრივი მოსახლეობის ინდოქტრინაცია;
- თავდასხმითი – დასავლურ საზოგადოებაზე ზემოქმედება რუსული ინტერესების დაცვა-გატარებისთვის (Samadashvili, 2015).

რაც შეეხება უფრო კონკრეტულ მიზნებს:

- ევროკავშირსა და სტრატეგიულ პარტნიორებს შორის (ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა) ურთიერთობების გაფუჭება;
- ევროკავშირსა და ნატოს სტრუქტურებში გადაწყვეტილების მიღების პროცესის პარალიზება;
- ცალკეულ საზოგადოებებში ისეთი მითების შექმნა, როგორიცაა: „ლგბტ ქორწინების დაკანონება აუცილებელი გახდება“; „მზარდმა მიგრაციამ მასობრივ კრიმინალურ-სექსუალურ ძალადობას შეუწყო ხელი“; „ამერიკის შეერთებული შტატები ომის დაწყებას აპირებს და ფარად აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპას გამოიყენებს“.
- ისეთი მცდარი მოსაზრების გავრცელება, როგორიცაა: „პოსტ-საბჭოთა სივრცე რუსეთის „ბუნებრივი“ და ლეგიტიმური გავლენის სფეროა“;
- ეკლესიის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ფონდების გამოყენებით აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოების

დარწმუნება, რომ „დასავლეთთან ინტეგრაცია მხოლოდ და მხოლოდ ავნებს ტრადიციებს“;

- უკრაინის წარმოჩენა აგრესორად და ფაშისტურ რეჟიმად;
- ევროპული საზოგადოებების დარწმუნება აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოთა „მოუმწიფებლობაში“ („მათი ევროკავშირთან დაახლოება მხოლოდ და მხოლოდ ტვირთი იქნება ევროპელებისთვის“);
- დაუმარცხებელი რუსეთის იმიჯის პოპულარიზაცია, რომელსაც ვერც ერთი სანქცია თუ შეზღუდვა ვერაფერს დააკლებს (Meister, 2016), (Samadashvili, 2015).

რუსული პროპაგანდის აქტორები

არანაკლებ მნიშვნელოვანია იმ აქტორების იდენტიფიცირება, ვინც რუსული პროპაგანდის გავლენას ავრცელებს. კრემლი მრავალ სხვადასხვა ელემენტს იყენებს, როგორცაა არასამთავრობო ორგანიზაციები, ფონდები, ანალიტიკური ცენტრები, კვლევითი დაწესებულებები, ექსპერტთა კლუბები, ტელევიზიები, საინფორმაციო საშუალებები, ინტერნეტაგენტები და სოციალურ მედიაში მომუშავე პირები, კერძოდ:

- Фонд Русский Мир („ფონდი რუსული სამყარო“), დაარსდა 2007 წელს, განათლებისა და საგარეო საქმეთა სამინისტროების თანამშრომლობით. წლიური ბიუჯეტი – €5,12 მილიონი. უმთავრესი მიზანი – რუსული ენისა და კულტურის პოპულარიზაცია. ორგანიზაცია ათეულობით კვლევით და საგანმანათლებლო ცენტრს განკარგავს მსოფლიო მასშტაბით. მის ერთ-ერთ ფუნქციას „პერსპექტიული“ ახალგაზრდების შერჩევა და სამომავლო საქმიანობისთვის მომზადება წარმოადგენს;
- Россотрудничество („როსსოტრუდნიჩესტვო“) – დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეთა მხარდაჭერის ფედერალური სააგენტო. დაარსდა 2008 წელს, პრეზიდენტ მედვედევის განკარგულებით. მისი მთავარი მიზანი რუსეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური მიზნების გატარებაა. ოპერირებს მსოფლიოს 73 ქვეყანაში. ორგანიზაციის ოფიციალური ბიუჯეტია €40 მილიონი, თუმცა 2020 წლისთვის €115 მილიონამდე უნდა გაიზარდოს;
- Фонд Горчакова („გორჩაკოვის ფონდი“), დაარსდა 2010 წელს, პრეზიდენტ მედვედევის განკარგულებით. უმთავრესი მიზანი

- რუსეთის საგარეო-პოლიტიკური ინტერესების მხარდაჭერა. ფონდის ბიუჯეტი – €660 000;
- Фонд Поддержки и Защиты Прав Соотечественников, Проживающих за Рубежом („საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეთა მხარდაჭერისა და დაცვის ფონდი“), 2011 წელს დააარსა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ და „როს-სოტრუდნიჩესტვომ“. მისი უმთავრესი მიზანია ბალტიისპირეთში მცხოვრებ თანამემამულეთა ინტერესების დაცვა. ფონდის წლიური ბიუჯეტია €9.1 მილიონი;
- Фонд Сотрудничества с Русскоязычной Зарубежной Прессой („საზღვარგარეთ მოქმედი რუსულენოვან პრესასთან ურთიერთობის ფონდი“), 2014 წელს დააარსა სამთავრობო კომისიამ. ორგანიზაციის მიზანს წარმოადგენს უცხოეთში რუსული პოზიციის გაცნობა.

ერთი შეხედვით, რუსეთის პოპულარიზაციისათვის შექმნილი ორგანიზაციების ბიუჯეტი ნაკლებად მასშტაბურად გამოიყურება სხვა დასავლურ საქველმოქმედო ორგანიზაციებთან შედარებით. მაგალითად, 2014-2015 წლებში „ბრიტანეთის საბჭოს“ დაფინანსება იყო €210 მილიონი, ხოლო მისი გერმანული ანალოგის – „გოეთეს ინსტიტუტისა“ – €213 მილიონი. აღსანიშნავია, რომ რუსული ფონდების შემთხვევაში მთავარი პრობლემა გასაიდუმლოებული დაფინანსების მეთოდოლოგიაა და შესაბამისად, ძალიან რთულია შემოწირულობათა ზუსტი აღრიცხვა, რადგან ასეთი ორგანიზაციები შუამავლებს მეშვეობით, ე.წ. „ჰავალას სისტემით“, ფინანსდებიან (Samadashvili, 2015).

გარდა საერთაშორისო ფონდებისა, კრემლი საკუთარი პოლიტიკის ლეგიტიმაციისათვის სხვადასხვა ანალიტიკურ ცენტრსა და კვლევით ორგანიზაციას იყენებს, როგორცაა, მაგალითად:

- Валдай („ვალდაის სადისკუსიო კლუბი“) – 2004 წელს დააარსეს რუსეთის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების საბჭოებმა. ორგანიზაციის მიზანი – კვლევითი საქმიანობა და წელიწადში ერთხელ მასშტაბური კონფერენციის ორგანიზება. ამ ფორუმს სტუმრობს ძალიან ბევრი ცნობილი ადამიანი, რომლებიც „კრემლის“ მხარდამჭერ განცხადებებსა და შეფასებებს აკეთებენ;
- Российский Совет по Международным Делах („რუსეთის საერთაშორისო საქმეთა საბჭო“) – დაფუძნდა პრეზიდენტ მედვედევის განკარგულებით 2010 წელს. ამ აკადემიურ-დიპლომატიური კვლევითი ცენტრის მიზანს რუსულ და უცხოურ ანალიტიკურ

ცენტრებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება წარმოადგენს. გარდა ამისა, ორგანიზაცია ხშირად აქვეყნებს „კრემლის“ მხარდამჭერ საერთაშორისო კვლევებს;

- **Русский Институт Стратегических Исследований** („სტრატეგიულ კვლევათა რუსული ინსტიტუტი“) – დაარსდა 1992 წელს, ხოლო 2009 წლის საპრეზიდენტო დეკრეტის შემდეგ ფედერალური სამეცნიერო დაწესებულების სტატუსი შეიძინა. ორგანიზაციის მიზანს „კრემლის“ მხარდამჭერი კვლევების პუბლიკაცია წარმოადგენს;
- **Institut de Relations Internationales et Stratégiques** („საერთაშორისო ურთიერთობათა და სტრატეგიის ინსტიტუტი“) – დასავლეთ ევროპაში რუსეთის ინტერესების გამტარებელი ერთ-ერთი მოწინავე კვლევითი ცენტრი. ოპერირებს საფრანგეთში. არის „რუსკი მირის“ საგრანტო კონკურსების ბენეფიციარი;
- **Institut Français des Relations Internationales** („საერთაშორისო ურთიერთობათა ფრანგული ინსტიტუტი“) – „რუსკი მირის“ საგრანტო კონკურსების ბენეფიციარი. „კრემლის“ ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი ანალიტიკური ცენტრი დასავლეთ ევროპაში;
- **Institut de la Démocratie et de la Coopération** („დემოკრატიისა და თანამშრომლობის ინსტიტუტი“) – დაფუძნდა 2008 წელს პარიზში. 2015 წლამდე ოფისი ჰქონდა ნიუ-იორკშიც. ორგანიზაციის მიზანს აღმოსავლეთისა და დასავლეთის კვლევა და იქ რუსეთის როლის დადგენა წარმოადგენს. არის რუსეთის ფედერალური ფონდების საგრანტო პროგრამების ბენეფიციარი;
- **Dialog der Zivilisationen** („ცივილიზაციათა დიალოგის ინსტიტუტი“) – ბერლინში დაფუძნებული კვლევითი ცენტრი, რომელიც რუსეთის მხარდამჭერის პუბლიკაციებსა და კვლევებს აქვეყნებს. არის რუსული ფედერალური საგრანტო პროგრამების ბენეფიციარი;
- **Eurasian Observatory for Democracy and Elections** („დემოკრატიისა და არჩევნების ევრაზიული სადამკვირვებლო მისია“), რომლის მიზანია ფალსიფიცირებული არჩევნების ლეგიტიმაცია (რუსეთში, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, დნესტრისპირეთისა და ყირიმის ე.წ. „რესპუბლიკებში“)(Samadashvili, 2015).


რუსული პროპაგანდის კიდევ ერთი და ალბათ უმთავრესი უმთავრესი ინსტრუმენტი არის საკაბელო ტელევიზია RT (მანამდე – Russia Today). ეს არის საინფორმაციო არხი, რომელიც მეორე ადგილ-

ზეა (BBC News-ის შემდეგ) ყურების თვალსაზრისით და პირველია, რომელმაც ინტერნეტში მილიარდზე მეტი ნახვა მოაგროვა (Sama-dashvili, 2015). „Russia Today“ BBC-სა და „ალ-ჯაზირას“ რუსული ანა-ლოგია. ეს არის ახალი ამბები ინგლისურ ენაზე (24/7), რომელიც მაუწყებლობს არაბულ და ესპანურ ენებზეც და მთელ მსოფლიოს ყველა სასტუმროსა და მოსაცდელს სწვდება. არხი შეიქმნა პრეზიდენტის განკარგულებით და მისი ბიუჯეტი წელიწადში 300 მილიონ დოლარზე მეტია. არხის მისია შემდეგნაირად არის განსაზღვრული: „მთელ მსოფლიოში გადაიცემოდეს მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე რუსული თვალსაზრისი“ (პომერანცევი, 2017, 57). RT-ის თავდაპირველი სახელი იყო Russia Today, თუმცა ტენდენციურობის გასაქრობად მხოლოდ RT დატოვეს. ტელეკომპანიის აუდიტორია 700 მილიონია. მაუწყებლობს 100-ზე მეტ ქვეყანაში (Reichardt, 2016, 16-17). ასევე აღსანიშნავია საინფორმაციო ინტერნეტპორტალი Sputnik-ი, რომელიც 25 ენაზე მაუწყებლობს.

ცხრილი 1

სატელევიზიო-საინფორმაციო საშუალებები სოციალურ მედიაში

TV News Broadcasters: Comparative Social Media Footprint



წყარო: ამერიკის შეერთებული შტატების დაზვერვის ეროვნული საბჭოს დირექტორის 2017 წლის ანგარიში.

რუსული პროპაგანდის არანაკლებ მნიშვნელოვანი ელემენტია ე.წ. „კიბერარმია“, რომლის მიზანი მოწინააღმდეგის საინფორმაციო წყაროების ჩახშობა და პარალიზებაა. „კიბერარმიის“ ოფიციალური „ნათლობა“ 2008 წლის რუსულ-ქართული ომი იყო (Foxall, 2016). „კიბერარმია“ აქტიურად გამოიყენებოდა ამერიკის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდშიც (Office of the Director of National Intelligence, 2017). გარდა ამისა, შიგადაშიგ ხდებოდა ჰაკერული თავდასხმები სხვადასხვა ევროპულ სახელმწიფოთა სამთავრობო უწყებებზე. ერთ-ერთი ყველაზე რეზონანსული შემთხვევა იყო იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ბაზის მწყობრიდან გამოყვანის მცდელობა (Bulfony, 2017). ასევე აღსანიშნავია ინტერნეტაგენტების სისტემატ – ადამიანები, რომლებიც ინტერნეტსივრცეში რუსული პროპაგანდისათვის საჭირო ინფორმაციას ავრცელებენ და განსხვავებული აზრის მქონე სხვა ინტერნეტმომხმარებლებს მინასთან ასწორებენ. მაგალითისათვის გამოდგება მაქს სედონის კვლევა, რომლის თანახმადაც: „საშუალოდ, „ტროლი“ 50 სტატიას აქვეყნებს დღეში. თითოეული მათგანი 6 ფეისბუქანგარიშს მართავს და 24 საათში მინიმუმ 3 პოსტს აქვეყნებს. ტვიტერის შემთხვევაში „ტროლი“ საშუალოდ 10 პროფილს ფლობს და ვალდებულია 5-დან 10-მდე პოსტი გამოაქვეყნოს“ (Pomerantsev and Weiss, 2015).

კრემლი წამყვანი დასავლური გამოცემების მეშვეობითაც ავრცელებს თავის ნარატივს. პომერანცევისა და უაისის თანახმად, რუსეთი 23 ქვეყანაში 16 ენაზე მოქმედ გამოცემებს აფინანსებს. ასეთ გაზეთებს შორისაა: „ტელეგრაფი“, „ნიუ-იორკ თაიმსი“, „უოლ სტრიტ ჯორნალი“ და ა.შ. (Pomerantsev and Weiss, 2015, 18). აღსანიშნავია ასევე PR-სააგენტოები, რომლებიც კრემლის ლობირებას პირადი კონტაქტებისა და ზეწოლის სხვადასხვა მექანიზმით ახერხებენ. ერთი -ერთი მათგანია „Ketchum“.

ყველა განხილული შემთხვევის პარალელურად რუსეთი პოლიტიკური და ეკონომიკური ზეგავლენის მოპოვებას ცდილობს ცალკეული სახელმწიფოების შიდა და გარე პროცესებზე. მთავარი მიზანი დემოკრატიის ნდობის შერყევა და საზოგადოებრივი ნიჰილიზმის ზრდაა. ეკონომიკური ზემოქმედება მრავალმილიარდიან საინვესტიციო ხელშეკრულებებს, კორუფციულ გარიგებებსა და ენერგოშეთანხმებებს მოიცავს. რაც შეეხება ზემოქმედების პოლიტიკურ მხარეს, აღნიშნული მიმართულება ულტრამემარჯვენე, ულტრამემარცხენე ან ევროსკეპტიკოსი პოლიტიკური ჯგუფების დაფინანსება-წახალისებას გულისხმობს (Conley, 2016).

ბიბლიოგრაფია

1. Bezpečnostní Informační Služba. 2015. Výroční Zpráva Bezpečnostní Informační Služby Za Rok 2015. Praha: Bezpečnostní Informační Služba.
2. Bulfon, Floriana. 2017. I Ministeri Italiani sotto Attacco degli Hacker. L'Espresso. www.espresso.repubblica.it/inchieste/2017/02/13/news/i-ministeri-italiani-sotto-attacco-degli-hacker-1.295315?refresh_ce; accessed 19 April 2017.
3. Conley, Heather and Ruslan Stefanov. 2016. Kremlin Playbook. New York: Rowman & Littlefield.
4. Darczewska, Jolanta. 2014. Anatomia Rosyjskiej Wojny Informacyjnej. Warszawa: Ośrodek Studiów Wschodnich im. Marka Karpia.
5. EU Parliament Report. 2016. EU Strategic Communication to Counteract Propaganda Against It by Third Parties (2016/2030(INI)). www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?pubRef=-//EP//TEXT+REPORT+A8-2016-0290+0+DOC+XML+V0//EN; accessed 14 October 2016.
6. Galeotti, Mark. 2014. The 'Gerasimov Doctrine' and Russian Non-Linear War. In Moscow's Shadows. www.inmoscowshadows.wordpress.com/2014/07/06/the-gerasimov-doctrine-and-russian-non-linear-war/; accessed 28 January 2017.
7. Judah, Ben. 2013. Fragile Empire. How Russia Fell In and Out of Love with Vladimir Putin. Newhaven and London: Yale University Press.
8. Meister, Stefan. 2016. Isolation and Propaganda: Roots and Instruments of Russia's Disinformation Campaign. New York: Transatlantic Academy.
9. Nye, Joseph. 2004. Soft Power: The Means to Success In. World Politics. New York: Public Affairs.
10. Office of the Director of National Intelligence. 2017. Assessing Russian Activities and Intentions in Recent US Elections. Washington: National Intelligence Council.
11. Pomerantsev, Peter and Michael Weiss. 2015. The Menace of Unreality. New York: Digital City Services, LLC.
12. Samadashvili, Salome. 2015. Muzzling the Bear: Strategic Defense for Russia's Undeclared Information War on Europe. Brussels: Martens Centre.
13. Vojtišková, Vladislava and Vít Novotný. 2016. The Bear in Sheep's Clothing – Russia's Government Funded Organizations in the EU. Brussels: Martens Centre.
14. Дугин, Александр. 2009. Четвертая П олитическая Теория. Россия и Политические Идеи XXI Века. Санкт-Петербург: Амфора.
15. Косачев, Константин. 2004. Нефтегазовая дипломатия как угроза Маргинализации. Независимая Газета. www.ng.ru/world/2004-12-28/5_uspeh.html; accessed 09 May 2017.
16. Панарин, Игорь. 2012. Вторая Мировая Информационная Война – Война Против России. Km.ru. www.km.ru/node/631035/c; accessed 23 October 2016.
17. Путин, Владимир. 2012. Россия и Меняющийся Мир. Российская Газета. www.rg.ru/2012/02/27/putin-politika.html; accessed 10 September 2016.